საქართველოს მთავრობის

დადგენილება №116

2020 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

„ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №182 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/04/2018, 010100000.10.003.020497) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს მე-15 თავი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**